ნოემბერი 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა #30

2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში: მოლოდინები საქართველოს მიმართ

2024 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვანი გავლენა ექნება. ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა იმოქმედებს როგორც უკრაინაში მიმდინარე ომზე, ასევე ახლო აღმოსავლეთსა და შავი ზღვის რეგიონზე. 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის, ვინაიდან აშშ-საქართველოს ურთიერთობებმა ისტორიაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსათვის უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედ მოიაზრება. ასევე, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები მნიშვნელოვანია დემოკრატიული რეფორმების გაძლიერებისა და რეგიონში რუსეთის გავლენის დაბალანსებისათვის. თუმცა, ბოლო დროს განვითარებულობა მოვლენებმა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ უკუსვლასა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცვლილებას უკავშირდება, აშშ-საქართველოს ურთიერთობების დინამიკაში გარკვეული დაძაბულობა და სირთულეები წარმოშვა. ამასთანავე, მოსალოდნელია, რომ ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკას რეგიონსა და ქვეყნის როგორც შიდა ისე საგარეო ურთიერთობებზე უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი გავლენა ექნება.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) თხოვნით, ექსპერტებმა აშშ-სა და საქართველოდან შემდეგ კითხვებს უპასუხეს:

- როგორ ფიქრობთ, რა იქნება აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მთავარი პრიორიტეტები საქართველოსთან ურთიერთობაში 2024 წლის არჩევნების შემდეგ და არის თუ არა მოლოდინი, რომ საქართველოს მიმართ სტრატეგიული მხარდაჭერა შეიცვლება? რა ფაქტორებმა შეიძლება იქონიოს გავლენა ამ პროცესზე?
- როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცვლილებებს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე და რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს საქართველოს ახალი ადმინისტრაციისგან დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერის თვალსაზრისით?

მეთიუ ბრაიზა

მმართველი პარტნიორი, Ballard Partners, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ყოფილი მოადგილე (2005-2009)

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, აშშ–ის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაში საქართველოს საკითხი მთავარი პოლიტიკური გამოწვევა არ ყოფილა და ის დღემდემხოლოდ აშშ-ს მთავრობის პროფესიონალი საჯარო მოხელეების განხილვის საგნად რჩება. შედეგად, აშშ-ს ამჟამინდელი მიდგომა გაგრძელდება მანამ, სანამ არ მოხდება ისეთი ფუნდამენტური ცვლილება, როგორიც შეიძლება იყოს რუსეთის ომის დასრულება უკრაინაში ან რუსული სამხედრო მოქმედების განახლება საქართველოში. არ ველი, რომ ტრამპის მომავალი ადმინისტრაცია იმაზე მეტ ყურადღებას დაუთმობს საქართველოს და მის პოტენციალს, რომ ის გახდეს ჯანსაღი დემოკრატია და იქცეს ტრანსატლანტიკური ოჯახის წევრად, ვიდრე ეს ხდებოდა ტრამპის პირველი ადმინისტრაციის პირობებში. ეს მას მკვეთრად განასხვავებს ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციისგან. დონალდ ტრამპი ნაკლებადაა დაინტერესებული სხვა ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებით. მეტიც, აშშ–ში ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ იგი საკუთარი პოლიტიკური ძალაუფლების გასამყარებლად ცდილობს თავად აშშ–ში არსებულ დემოკრატიულ ინსტიტუტებს გამოუთხაროს ძირი. ნატოს მიმართ ტრამპის ენთუიაზმის ნაკლებობა კი არ არის ახალი. მისი ეს დამოკიდებულება კარგად აისახა კითხვაში: იყო თუ არა ნატო მოძველებული. სამწუხაროდ, ნებისმიერი ყურადღება, რომელსაც ტრამპის ადმინისტრაცია დაუთმობს საქართველოს, დაკავშირებული იქნება იმასთან, რომ ხელი შეუწყოს რუსეთის უკრაინასთან ომის დასრულებას. რომ შევაჯამოთ, არ ველოდები, რომ პრეზიდენტი ტრამპი ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში ინტეგრაციაზე. ის არც საქართველოს დემოკრატიულ რეფორმებს მიაქცევს ყურადღებას. ნეტავ შემეძლოს, რომ ნაკლებად პესიმისტური ვიყო.

პროფესორი ნილ მაკფარლენი

წმინდა ანას კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი

აშშ–ის საარჩევნო კამპანიის დროს, მოსახლეობა მართლაც ფიქრობდა საქართველოზე, თუმცა არა თქვენს საქართველოზე, არამედ ჯორჯიას შტატზე. დარწმუნებული არ ვარ, რომ ბევრი რამ შეიცვლება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს ჩინოვნიკები ახლა სუსტ სანქციებს ექვემდებარებიან. შემცირდა აშშ-ს დახმარება და ბოლო არჩევნებში დარღვევებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ აშშ-ს დახმარების მოსალოდნელი გადახედვის გათვალისწინებით, ეს ზომები შეიძლებაკიდევ უფრო გამკაცრდეს. ეს იმიტომ, რომ საქართველო ახლა არ არის აშშ-სთვის პრიორიტეტი და, სავარაუდოდ, არც ახალი ადმინისტრაციისთვის იქნება. ძირითადი ინტერესის სფეროებია ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთი, უკრაინა და მიგრაციის საკითხები. პოლიტიკა საქართველოსთან დაკავშირებით, უფრო მეტად ბიუროკრატიულ გადაწყვეტილებებში გამოიხატება. ვინაიდან, მცირე, არაპრიორიტეტული სახელმწიფოებისთვის, სახელმწიფო დეპარტამენტი მოქმედებს ზოგადი პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით. პოლიტიკის განხორციელების ინსტრუქციები კი იგივე რჩება, თუ პრეზიდენტს ან სახელმწიფო მდივანს არ სურთ მათი შეცვლა, რაიმე ახალი ინტერესიდან გამომდინარე.

გაჩნდა ვარაუდი, რომ ორბანის მჭიდრო ურთიერთობამ როგორც „ქართულ ოცნებასთან“, ისევე ტრამპთან, შესაძლოა აშშ-ს უბიძგოს „ქართული ოცნების“ მთავრობასთან დაახლოებისკენ, რაც ძალიან საეჭვოა. მიუხედავად იმისა, რომ ორბანმა შეიძლება შესთავაზოს შტატებს, გახდეს უფრო მეგობრული საქართველოს მიმართ, დიდი ალბათობით ტრამპი ამ საუბარს არ გაითვალისწინებს. მაშინაც კი, თუ ეს ასე მოხდა, არ არსებობს მიზეზი, რომ მან ასე მკვეთრად შეცვალოს უკვე არსებული ბიუროკრატიული ჯაჭვი. „He has bigger fish to fry”. (მას უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აქვს გადასაწყვეტი)

მსოფლიომ უკვე იცის, რომ „ერთადერთი რაც დანამდვილებით ვიცით ბ.ნ ტრამპზე, მისი ბუნდოვანებაა“. (New York Times, 11/6/24) ეს არ ეხება მხოლოდ ტრამპს. მომავალიც საკმაოდ ბუნდოვნად გამოიყურება, რომლის შესახებაც შეგვიძლია ვარაუდები გამოვთქვათ, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ამის გათვალისწინებით, მეეჭვება, რომ აშშ-ს პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში უკვე დასახელებული მიზეზების გამო დიდად შეიცვლება. საქართველოს ნატოში ინტეგრაცია შეფერხებულია. ეს საკითხი უბრალოდ დღის წესრიგში არ დგას. მაშინაც კი, თუ ტრამპი საქართველოს სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, რთული სათქმელია, რამდენად შეცვლის ეს რაიმეს ვინაიდან, ნატო კონსენსუსით იღებს გადაწყვეტილებას. თანაც, ტრამპს ნატოსთან მიმართებით საკუთარი ეჭვები აქვს.

რაც შეეხება ევროკავშირს, იქიდან გამომდინარე, რომ აშშ არ არის წევრი სახელმწიფო, არ ვფიქრობ, რომ მის რომელიმე ქმედებას შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე. საქართველოს კანდიდატურა ამ დროისთვის შეჩერებულია. ეს არ შეიცვლება მანამ, სანამ „უცხოური გავლენის აგენტების“ კანონი და ლგბტქ კანონმდებლობა არ გაუქმდება. ევროკავშირმა, შესაძლოა ასევე ბიძგი მისცეს ბოლო არჩევნების საფუძვლიან გამოძიებას.

რაც შეეხება საქართველოში დემოკრატიული რეფორმების კუთხით აშშ-ს მხარდაჭერას, ეს კვლავ გაგრძელდება (შესაძლოა უფრო შეუმჩნევლად), იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არსებული პოლიტიკის შეცვლას უმაღლესი ხელმძღანელი პირების ჩარევა დასჭირდება. ამ დროს კი ისინი არ იქნებიან ორიენტირებულნი საქართველოს დემოკრატიულ რეფორმებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული ოცნების მოლოდინი, რომ ტრამპის გამარჯვების შემდეგ ევროკავშირთან და აშშ-სთან ურთიერთობა გაუმარტივდებათ, უსაფუძვლოა.

კენეტ ს. იალოვიცი

Global Fellow, Kennan Institute & Global Fellow, Polar Institute - Wilson Center, აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში

ტრამპის ახალ ადმინისტრაციას ბევრ მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკის საკითხზე მოუწევს ყურადღების გამახვილება: უკრაინა/რუსეთის ომი, კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში, ჩინეთი, ირანი და სუდანი. პრეზიდენტი ბაიდენი ღიად აკრიტიკებდა საქართველოს ბოლო, სერიოზული ხარვეზების მქონე არჩევნებს. ასევე, აშშ-ის კონგრესსა და ევროპაში საქართველოს დემოკრატიულმა უკუსვლამ დიდი შეშფოთება გამოიწვია. შესაბამისად, არ ველოდები აშშ-ის მიდგომის მნიშვნელოვან ცვლილებებს. „ქართულ ოცნებას“ ეკისრება პასუხისმგებლობა აგენტების კანონი პრაქტიკაში არ აამუშაოს, უზრუნველყოს არჩევნების შედეგების დამოუკიდებელი გამოძიება და არ დაუპირისპირდეს ოპოზიციასა და მიმდინარე საპროტესტო აქციებს. აშშ-ის, არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა და „გლობალური ომის პარტიაზე” საუბარი კი მათ არ დაეხმარება.

საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის ტემპი დამოკიდებული იქნება ქვეყნის შიდა პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ევროკავშირში გაწევრიანების პროგრესი შეჩერებულია დემოკრატიული განვითარების უკუსვლის გამო, და ამას ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზეც ექნება გავლენა. თუ საქართველოს მართლა სურს ორივე მათგანის წევრობა, უნდა აჩვენოს პატივისცემა დემოკრატიული ნორმების მიმართ. მხოლოდ ფორმალური პოლიტიკური განცხადებები უბრალოდ ვერ იმუშავებს. რაც შეეხება აშშ-ის დახმარებას, სავარაუდოდ, ის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დემოკრატიული რეფორმების დახმარებაზე იქნება მიმართული.

პროფესორი ლინკოლნ მიტჩელი

არნოლდ ა. ზალცმანის ომისა და მშვიდობის კვლევების ინსტიტუტის დამხმარე მკვლევარი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების ასოცირებული პროფესორი

ზედმეტად ნუ ვიფიქრებთ ამ საკითხზე. დონალდ ტრამპს აქვს ის, რაც ვლადიმერ პუტინის სამყაროსადმი არაჯანსაღ სიმპათიად შეიძლება შეფასდეს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას თეთრი სახლის მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა ექნება. თუმცა, ამან შესაძლოა მალევე არ იქონიოს გავლენა, რადგან საქართველო ახალი ადმინისტრაციისთვის არ იქნება პრიორიტეტი. შესაბამისად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყველაფერი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება. ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტრამპი პუტინს საქართველოს მიმართ არსებულ საკითხებში შეეწინააღმდეგება.

ამასთანავე, ტრამპის ადმინისტრაცია ნატოს გაფართოებით არ იქნება დაინტერესებული და ასევე დიდ დროს არ დაუთმობს იმის შესახებ ფიქრს, თუ ვინ შევა ან არ შევა ევროკავშირში. ქართველი დემოკრატებისთვის საუკეთესო სცენარის შემთხვევაში, ტრამპი აშშ-ში თავისი უცნაური და საშიში გეგმების განხორციელებით დაკავდება. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ის ნაკლებ ყურადღებას დაუთმობს საქართველოს დემოკრატიულ მდგომარეობას.

დოქტორი ეთერი ცინცაძე-მაასსი

ჰემპტონის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი

აშშ-საქართველოს ურთიერთობების როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო კონტექსტი ტრამპის პირველი ვადის შემდეგ შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობების შედეგები გაურკვეველი რჩება, ტრამპის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები 2021 წლამდე და მისი კამპანიის რიტორიკა 2024 წლის არჩევნების წინ, დაგვეხმარება ჩვენი მოლოდინების ფორმირებაში. ერთი რამ აშკარაა: ძლიერი და სუსტი ქვეყნები მიუხედავად შეერთებულ შტატებთან მათი ისტორიული კავშირების ან მოკავშირეების თუ კონკურენტების ამჟამინდელი სტატუსისა, ოთხწლიანი გაურკვევლობისათვის ერთნაირად ემზადებიან. უკვე თვალშისაცემია მაღალი დონის ერ-

ოენული და საერთაშორისო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ტრამპის მეორე ვადისათის სტრატეგიის შემუშავებას ისახავს.

აშშ-საქართველოს ურთიერთობა შეიძლება არ გაუარესდეს, რადგან ის უკვე საკმარისად დაძაბულია, მაგრამ პოზიტიური ურთიერთობის პირობებშიც კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ ტრამპმა მტკიცედ დაუჭიროს მხარი დემოკრატიულ რეფორმებს საქართველოში ან მის ინტეგრაციას ევროკავშირშსა და ნატოში. მისი პირველი ვადის დროს გამოჩნდა, რომ ტრამპი საგრძნობლად განსხვავდება აშშ-ს წინა ლიდერებისგან (ორივე პარტიის) საგარეო დახმარების, დემოკრატიის ხელშეწყობის, გრძელვადიანი ეკონომიკური და უსაფრთხოების პარტნიორობისა და უფრო ფართოდ, წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის საკითხებში. მან ნატოს უწოდა „მოძველებული“ და იმუქრებოდა ალიანსის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დატოვებით. დიპლომატიისადმი მის ტრანზაქციულ მიდგომასთან ერთად, ამგვარმა რიტორიკამ უნდა შეაშფოთოს ნატოს არაწევრი აშშ-ის პარტნიორები, როგორიცაა უკრაინა, ტაივანი და ასევე საქართველო. ულტრამემარჯვენე პარტიები და არალიბერალური ლიდერები, როგორიცაა უნგრელი ვიქტორ ორბანი, განსაკუთრებით უჭერენ ტრამპს მხარს. ასეთი გაურკვევლობების დროს საქართველოსა და მსგავსი ტიპის დაუცველი ქვეყნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამოავლინონ ავტორიტარული ტენდენციების მიმართ შიდა მდგრადობა. ამის პარალელურად კი, გააერთიანონ თავიანთი საგარეო პოლიტიკური მიზნები და შეერთებულ შტატებთან საკუთარი დემოკრატიული პრინციპების დათმობის გარეშე კარგი ურთიერთობა შეინარჩუნონ.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ექსპერტ კომენტარში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში: მოლოდინები საქართველოს მიმართ“ ექსპერტთა კომენტარი #30, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი 2024.

© Georgian Institute of Politics, 2024
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge